საინფორმაციო ბიულეტინი

ადვოკატირება

2019 წლის ნოემბერში, ასოციაცია "ჰერა XXI" შეუერთდა ,,გაეროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია(ICPD+25)“, რომელიც მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი შეკრებაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში.ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაირობის სამიტზე ასოციაცია ჰერა XXI და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და აქტივისტები, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სახელით, პასუხისმგებლობა აიღეს, რომ წვლილს შეიტანენ 25 წლის წინ, მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე დადებული პირობის შესრულებაში 2030 წლისთვის.

გაეროს მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია(ICPD+25)“ მიზნად ისახავს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების გლობალურ უზრუნველყოფას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ასტრას ქსელის სამუშაო შეხვედრა

ASTRA NETWORK

2019 წლის ოქტომბერში ასოციაცია "ჰერა XXI", როგორც ასტრას ქსელის წევრი ორგანიზაცია საქართველოდან, გაერთიანების სამუშაო შეხვედრაში იღებდა მონაწილეობას, რომელიც ვარშავაში გაიმართა. სამუშაო შეხვედრა მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, სადაც კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა განიხილეს რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების რეალიზების გზაზე არსებული ბარიერები,ერთმანეთს გაუზიარეს საქმიანობა და საუკეთესო გამოცდილებები. არაერთმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, განიხილეს და დაგეგმეს სამომავლო ერთობლივი რეგიონალური აქტივობები, რომელიც საშუალებას მისცემს თითოეულ ორგანიზაციას კოორდინირებულად და თანმიმდევრულად იმოქმედოს რეგიონში რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

„კოალიცია არის ერთ-ერთი საუკეთესო და წარმატებული მაგალითი თუ როგორ შეიძლება პროფესიონალთა ჯგუფის გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად რეგიონში. მისივე თქმით ASTRA ქსელი წარმოადგენს სოლიდარობის, ერთობის და შესაძლებლობების გაერთიანების კარგ პრაქტიკას.“ - ნინო წულეისკირი, ასოციაცია „ჰერა XXI”-ს დირექტორი

სექსუალური განათლების ჩემპიონთა სამუშაო შეხვედრა

2019 წლის ოქტომბერში ასოციაცია "ჰერა XXI"-ამ მონაწილეობა მიიღო ალბანეთში ქ.ტირანაში გამართულ სექსუალური განათლების ჩემპიონთა სამუშაო შეხვედრაში. ღონისძიებაზე მონაწილეებმა განიხილეს სახელმწიფოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდების როლი და პასუხისმგებლობები ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვაში და ერთმანეთს არსებული გამოცდილება გაუზიარეს. სამუშაო შეხვედრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში, სადაც ყოვლისმომცველი სექსუალაური განათლება სახელმწიფო დონეზე ჯერ კიდევ არ არის დანერგილი.

ორგანიზაციამ წარადგინა ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები და ისაუბრა იმ მნიშვნელოვან სტრატეგიებზე,მიდგომებზე რომელიც საჭიროებს დაუყონებლივ რეაგირებას, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ სრულყოფილი, ასაკზე მორგებული და სწორი ინფორმაციის მიღება სექსუალური უფლებებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

„სექსუალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა არ უნდა იყოს პრივილეგია, ეს უფლება ყველასთვის უნდა იქნას რეალიზებული“ - მაგდა კოსტავა, ასოციაცია "ჰერა XXI"-ს გამგეობის წევრი.

IPPF-ის გენერალური ასამბლეა

2019 წლის ნოემბერ-დეკემერში ასოციაცია „ჰერა XXI”-მ, მისი ახალაზრდული ლიდერის სახით, მონაწილეობა მიიღო IPPF-ის გენერალურ ასამბლეაში, რომელიც ინდოეთის დედაქალაქ, ნიუ დელიში გაიმართა.

„ჩემთვის, როგორც ახალგაზრდული ლიდერისთვის, განსაკუთრებით საინტერესო ანსამბლეის პირველი დღე იყო- საერთაშორისო ახალგაზრდული ფორუმი, სადაც ახალგაზრდებს ასზე მეტი ყვეყნიდან შესაძლებლობა გვქონდა ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა ჩვენი გამოცდილება ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო მოხალისეობა და მისი მნიშვნელობა პოზიტიური ცვლილებებისთვის, ლიდერობა, თანატოლგანმანათლებლობა და SRHR საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და გამოწვევები ჩვენს ქვეყნებში. გენერალურ ანსამბელაში მონაწილეობით მაქვს მომეცა შესაძლებლობა გავცნობოდი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, ახალგაზრდებს, რომლებიც აქტიურად მუშაობენ თავიანთ ქვეყნებში აღნიშნული მიმართულებებით.“ - ლევან ბუსქანძე, თანასწორგანმანათლებელი, ხობის ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერი

ახალგაზრდები

ასოციაცია ჰერა XXI”-ს მოხალისეთა წლიური შეკრება

ასოციაცია „ჰერა XXI”-ს საქმიანობის ერთერთ სტრატეგიულ მიმართულებას ახალგაზრდები,მათი გაძლიერება და ჯანსაღი განვითარების მხადაჭერა წარმოადგენს. ამიტომ, მიმართულების ფარგლებში 17 ნოემბერს ქ.თბილისში გაიმართა ასოციაციის მოხალისეთა, ახალგაზრდა ლიდერთა შეხვედრა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ასოციაციის მოხალისე/ახალგაზრდა ლიდერები ქუთაისის ახალციხის სამეგრელოსა და თბილისის რეგიონებიდან.

მსგავს ღონისძიებას ასოციაცია პერიოდულად ატარებს, რაც შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდებს ერთმანეთს გაუზიარონ საუკეთესო პრაქტიკები, გააუმჯობესონ კომუნიკაცია, დასახონ ერთობლივი მიზნები და ამოცანები,აქტიურად ჩაერთონ ასოციაციის პროგრამების შესრულებაში, მართვაში და სამომავლო დაგეგმვაში. ასევე, ისაუბრონ გამოწვევების,საჭიროებების შესახებ და განიხილონ იმ პრობლემების გადაჭრის გზები, რომელიც დღეს ახალგაზრდებს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების კუთხით აწუხებთ მათ რეგიონში. ღონისძება ახალგაზრდულმა ჯგუფებმა განსაზღვრეს პრიორიტეტები, იმსჯელეს და დაგეგმეს 2020 წლის ახალგაზრდული ჯგუფების საქმიანობა.

ასოციაციის ახალგაზრული ჯგუფის წევრების თანამშრომლობა საქართველოს ახალგაზრდულ სააგენტოსთან

2019 წელს, საქართველოს მთავრობამ დააფუძნა ახალგაზრდობის სააგენტო, რომელიც ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზება და მათი განვითარების მხარდაჭერა. სააგენტომ, 2019 ნოემბერში ჩაატარა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელების საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავებას.

საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მოწვევით, შეხვედრაში ასოციაცია ჰერა-XXI -ს ახალგაზრდა ლიდერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და წვლილი შეიტანეს აღნიშნული მექანიზმის ჩამოყალიბებაში. ასოციაციის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გაუზიარეს ორგანიზაციის მრავალწლიანი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც სამომავლო სტრატეგიის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია.

დეკემბერში, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ასოციაციის ახალგაზრდულმა ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს რიგირთ მეათე ახალგაზრდულ ფორუმში, რომელიც სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის გაღრმავებასა და კომუნიკაციის გაუმჯობესებას ემსახურება. თანამშრომლობის ფარგლებში, სხვადასხვა ორგანიზაციები შეძლებენ საერთო აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას, რაც ახალგაზრდულ პოლიტიკას მეტად სრულყოფილს გახდის.

თანასწორგანმანათლებლები და საინფორმაციო სესიები რეგიონებში

ასოციაცია "ჰერა XXI" წლებია ამზადებს და ატრენინგებს თანასწორგანმანათლებლებსა და ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებიც შემდგომში თანატოლებს სწორ, ასაკზე მორგებულ და დისკრიმინაციისგან თავისუფალ ინფორმაციას აწვდიან სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ.

შეხვედრები, რომლებიც თბილისისა და რეგიონების სკოლებსა და უნივერისტეტებში ტარდება და პირველ რიგში მოიცავს ასოციაცია ჰერა XXI-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, სტუდენტებისა, თუ მოსწავლეებისთვის. ახალგაზრდული ჯგუფები აწვდიან ახალგაზრდებს ასოციაციის უფასო, მეგორბრული სერვისების შესახებ ინფორმაციას, როგორიც არის უფასო იურიდიული დახმარება და ექიმ-რეპროდუქტოლოგის უფასო მომსახურება. შეხვედრებზე საინფორმაციო სესიებს ატარებენ ორგანიზაციის გადამზადებული თანასწორგანმანათლებლები, შემდეგ თემებზე: ახალგაზრდული მეგობრული სერვისები; თანამედროვე კონტრაცეფციის საშუალებები; ჯანსაღი ცხოვრების წესი; სექსობრივი გზით გადამდები ინფექციები; ადრეული ქორწინება. სესიები ჩატარდა ადიგენში, ახალციხეში, ხობში, ქუთაისში, თბილისში და რუსთავში.

კამპანიები

11 ოქტომბერი – გოგონათა საერთაშორისო დღე!

11 ოქტომბერი გოგონათა საერთაშორისო დღეა, რომელიც ასოციაცია "ჰერა XXI"-მ რეგიონული კამპანიებით აღნიშნა. კამპანია ასევე აქტიურად მიმდინარეობდა თბილისში.

ხობსა და ახალციხეში, ახალგაზრდული ჯგუფების ორგანიზებითა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით ჩატარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო კამპანიები. კამპანიის მიზანი კი იყო ცნობიერების ამაღლება გოგონათა საერთაშორისო დღის მიმართ და ამასთან ერთად სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მოეწყო მინი-ვიქტორინა, რომელმაც ახალგაზრდებს მისცა საშუალება გამოევლინათ თავიანთი ცოდნა სრჯუ საკითხებთან დაკავშირებით და ასევე მათთვის უცნობი თემების გარშემო მიეღოთ განმარტებები და მათი ცნობიერება აგვემაღლებინა

ახალგაზრდული ჯგუფის წევრებმა მოზარდ გოგონებს გააცნეს ასოციაციის საქმიანობა და მიაწოდეს ინფორმაცია იმ უფასო სერვისების შესახებ, რომელსაც ჰერა XXI სთავაზობს ახალგაზრდებს. ამასთან ერთად ჩატარდა მინი-ვიქტორინა, გაამრჯვებულებს კი გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

16-დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ

ასოციაცია "ჰერა XXI" შეუერთდა 16-დღიანი კამპანია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. კვირეულის ფარგლებში ასოციაციამ ჩაატარა როგორც ონლაინ ასევე საინფორმაციო კამპანია, რომელთა მეშვეობით ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ფართო აუდიტორიამ მიიღო, მაგალითად ახალგაზრდულმა ჯგუფმა ახალციხეში ჩაატარა საინფორმაციო სესია ადრეული

ქორწინების შესახებ. თემატიკა სპეციალურად შეირჩა რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით.

ასოციაცია იყენებს კამპანიების მართვის თანამედროვე, ციფრულ მეთოდებს. ორგანიზაციის სოციალურ ქსელში განთავსდა საინფორმაციო და კამპანიური ტიპის ვიზუალური მასალა და ვიდეო რგოლები. გარდა ამისა, ასოციაციის ახალგაზრდა მოხალისეებმა ჩაატარეს რიგი საინფორმაციო შეხვედრები ადრეული ქორწინების, გენდერული თანასწორობისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თემებზე.

საინფორმაციო ბიულეტინი მომზადებულია ასოციაცია „ჰერა XXI"-მიერ

ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერს www.hera-youth.ge ან გვესტუმრეთ ფეისბუქზე ASSOCIATIONHERAXXXI

და გაიგეთ მეტი ჩვენი საქმიანობის შესახებ